შიდა აუდიტორის დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" (მაუწყებლის) თანდართული 2007 წლის 31 დეკემბრის საბალანსო ანგარიშგების და მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების აუდიტი იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება წარმოადგენს მაუწყებლის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას. ჩვენ გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე, აზრის გახატვა ამ ფინანსური ანგარიშგებების შესახებ და დასკვნის გაცემა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის პროფესიული საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ პროცედურათა შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს ფინანსური აღრიცხვის შიდა კონტროლის შემოწმებას და მტკიცებულებების შეგროვებას ტესტირების საფუძველზე ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი, აგრეთვე, გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი გვაძლევს დასაბუთებულ საფუძველს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, მოცემული ფინანსური ანგარიშგებები უტყუარად და სამართლიანად ასახავს მაუწყებლის ფინანსურ მდგომარეობას 2007 წლის 31 დეკემბის მდგომარეობით და შეესაბამება საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის საქართველოში დადგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლებით დადგენილ ნორმებს.

კანონმდებლობასთან შესაბამისობა

დასაბუთებული გარანტიის მიღების მიზნით, შეიცავს თუ არა, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები არსებით უზუსტობებს, ჩვენ ჩავატარეთ შესაბამისობის ტესტები შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, რომელთა შეუსაბამობამ შეიძლება პირდაპირი და არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგებების მონაცემებზე. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი გვაძლევს დასაბუთებულ საფუძველს დასკვნის შესადგენად. ჩვენს მიერ ჩატარებული ტესტების შედეგად არ გამოვლენილა არავითარი არსებითი შეუსაბამობა, რომელიც აუცილებელია მოხვედრილიყო წარმოდგენილ დასკვნაში.

დავით ქადაგიძე
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი

29 აპრილი 2008 წელი